ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010125913949115

№16/77400

14 / დეკემბერი / **2015** წ.

დავით ქემხაძე 61001003741 m 2 ნუცუბიძეზე
სარაჯიშვილის 3 ჩიხი, 5

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #72586/12 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი ,, 2" (ორი) ფურცელი

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 8-72586/12

"11" 12 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვარტალში, №71-ში (ნაკვეთი 01/017) (საკ. კოდი №01.14.03.001.017) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (შერეული ფუნქციის (საცხოვრებელი, კომერციული) შენობა-ნაგებობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2149626 21.08.2015წ.
ბრძანება ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე – №2294838 12.11.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვარტალში, №71-ში (ნაკვეთი 01/017) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„ყ-1" ფასადი: კედლებთან ზოგიერთ ადგილას დამატებულია თუნუქის ფურცელი. „ა-33" ფასადი: -3.200 ნიშნულზე, კოლონების ძირში დამატებით მოწყობილია ლითონის დეტალები. შეცვლილია ტერიტორიის მოწყობა. გადახურვებზე დამატებულია კოლონები. სავენტილაციო შახტებზე დამატებულია თუნუქის დეტალები.

ბლოკი A

„ყ-1" ფასადზე: „5[1]-5" მონაკვეთში სადარბაზოს კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. +26.90 ნიშნულზე „5-4" მონაკვეთში ღია სივრცე შევსებულია დეკორატიული ჟალუზით და გასქელებულია პარაპეტის შუბლი.

„ა-33" ფასადზე: დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. +0.00 ნიშნულზე „8-9" მონაკვეთში აივნის ძირთან შესაღებია კედლის მცირე ნაწილი. 3.20 ნიშნულზე „2-4" მონაკვეთში დაწეულია რიგელის დონე.

კიბის უჯრედში შეცვლილია ბაქნების ფორმა. სადარბაზოს დეკორატიულ ჟალუზებზე დამატებულია ლითონის დეტალები. -3.04 ნიშნულზე შემცირებულია მანძილი წინა ფასადის მხარეს მდებარე საყრდენ კედელსა და შენობას შორის. აღნიშნულ კედელსა და „6-6"-„ე-ე" ღერძების კვეთაზე არსებულ კოლონას შორის გაუქმებულია გადაბმა. „8-6" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია რიგელები. „6-6" ღერძზე კედლის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „ბ-ბ" ღერძთან „1-2" მონაკვეთში აწეულია იატაკის დონე და მოწყობილია კიბის საფეხურები. +25.60 ნიშნულზე შემცირებულია გადახურვის სიმაღლე 0.3 მ-ით. „3-3" ღერძთან გაუქმებულია საკომუნიკაციო შახტების გადაბმა. +28.36 ნიშნულზე მოწყობილია მეხამრიდი.

„1-2" მონაკვეთში, „დ-დ" ღერძის გარეთ განთავსებულია დაცვის ჯიხური.

B ბლოკი

ფასადი „9-19" ღერძებში: „17-12" მონაკვეთში, სახურავზე გაზრდილია ჟალუზების გაბარიტები, ასევე ფასადზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის მილი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

-6.40 ნიშნული: „ე-ე“ ღერძის გარეთ შეცვლილია საყრდენი კედლის ფორმა და გაბარიტები. „17-17“ და „ჰ'- ჰ'“ ღერძების კვეთაზე დამატებით მოწყობილია კოლონა. „9-9“ და „ე-ე“ ღერძების კვეთაზე დამატებით მოწყობილია კოლონა.

„16-16'''“ და „ჰ- ჰ'''“ მონაკვეთებში შეცვლილი ზოგიერთი კოლონის მდებარეობა. „18-19“ ღერძებს შორის „ე-ე“ ღერძის გარეთ შეცვლილია ზოგიერთი კოლონის მდებარეობა.

±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ბაქნის ფორმა და გაბარიტები. +28.80 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია სავენტილაციო შახტების ფორმა და გაბარიტები.

C ბლოკი

„ყ-1” ფასადის განშლა: შეცვლილია სადარბაზოს კარის სიმაღლე და რელიეფის დონე. „22-20” მონაკვეთში შენობის ძირში მოწყობილია საფეხური. 30.10 ნიშნულზე „23-22” მონაკვეთში შეცვლილია ჟალუზების სიმაღლე. „25-24” მონაკვეთში შეცვლილია ბაქნის ფორმა და საფეხურების რაოდენობა.

შენობის შიგნით -6.24 ნიშნულზე „h'-h'” და „f'-f'” ღერძებზე შეცვლილია კოლონების მდებარეობა „h-h” და „ფ-ფ” ღერძებთან მიმართებაში. -0.80 ნიშნულზე „22'-22'” ღერძთან შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. სართულებზე შეცვლილია ატრიუმისთვის განკუთვნილი ღიობების ფორმა. +28.80 ნიშნულზე ლიფტის შახტის ზემოთ გაუქმებულია კედლები.

D ბლოკი

„29”-ფ“ ღერძებზე ნაჩვენებ კოლონებს შეცვლილი აქვს ადგილმდებარეობა. „ქ-29“ მონაკვეთებს შორის დეკორატიულ ელემენტებზე (ლითონის ჟალუზები) დამატებით მოწყობილია ლითონის ელემენტები. სახურავზე დამატებით მოწყობილია მეხამრიდი. ასევე დამატებით მოწყობილია გამწოვი დანადგარები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სს „მ2 ნუცუბიძეზე“-ს, ემზარ ოთხოზორიას, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვარტალში, №71-ში (ნაკვეთი 01/017) (საკ. კოდი №01.14.03.001.017) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (შერეული ფუნქციის (საცხოვრებელი, კომერციული) შენობა-ნაგებობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №72586/12 06.11.2015წ., №76798/07 11.11.2015წ., №60224/07 13.11.2015წ., №93903/12 27.11.2015წ. განცხადებები.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**